+ 12

პ რ ო ე ქ ტ ი

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2021 წლის -------სექტემბერი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821260126; 17/09/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ანდრო ხარაბაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი-

„ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 15 სექტემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის ნაწილი 270,16 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და მოიჯარემ გადაიხადოს 2021 წლის 30 დეკემბრამდე, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამიდად ,**წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა მ. ბერაძე

შეთანხმებულია მ. შალამბერიძე

708

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4821260126**
თარიღი: **17/09/2021**
პინი: **7312**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს ბატონ პაატა ახალაძეს

ბატონო პაატა,

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 17 სექტემბერს მოიჯარე ანდრო ხარაბაძემ განცხადებით მომართა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, რომლის შინაარსიდან ირკვევა, რომ ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის გათვალისწინებით ითხოვს გადაუვადოთ 2021 წლის 15 სექტემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის გადახდა მიმდინარე წლის ბოლომდე.

აღნიშნულთან დაკავშირებით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია გაცნობებთ შემდეგს:

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების ელექტრონული აუქციონის ფორმით, პირობებით სარგებლობის უფლებით გადაცემის N2 ხელშეკრულება, რომლის თანახმად მოიჯარე წლიურ საიჯარო ქირას 540,32 ლარს იხდის წლის განმავლობაში ორჯერ: 30 დეკემბრამდე-270.16 ლარს და 15 სექტემბრამდე -270,16 ლარს.

ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეტანილ იქნას ცვლილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბრის N2 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში, კერძოდ, მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი:

,, ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 15 სექტემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის ნაწილი 270,16 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და მოიჯარემ გადაიხადოს 2021 წლის 30 დეკემბრამდე, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება.''

აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ მოგვცეთ თანხმობა შეტანილ იქნას ცვლილება წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ №2 ხელშეკრულებაში ზემოთ მითითებული პირობების შესაბამისად.

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

7074

პატივისცემით,

გრიგოლ იოსელიანი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

7075

ადრესატი:

მურმან შალამბერიძე
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-კომისიის თავმჯდომარე

წერილის ნომერი:**49-49212643**
თარიღი: **21/09/2021**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

თავმჯდომარეს ბატონ მურმან შალამბერიძეს

ბატონო მურმან,

წარმოგიდგენთ განკარგულების პროექტს- **წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე", კომისიის სხდომაზე განსახილველად.**

მაია ბერაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს ა პ ა რ ა ტ ი-იურიდიული საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილება-მეორე რანგის მეორადი სრტუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

7076

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ გრიგოლ იოსელიანს

მოიჯარე ანდრო ხარაზაძის

მცოხვრები:წყალტუბოს მუნიციპალიტეტის

სოფელი ოფურჩხეთში

განცხადება

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაზაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმდა №2 ხელშეკრულება ქალაქი წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა N25-ში მდებრე შენობის პირველ სართულზე 12,8 კვ.მ ფართის იჯარით გადაცემის თაობაზე. საიჯარო ქირა შეადგენს 540, 32 ლარს, რომელსაც ვიხდი წელიწადში ორჯერ, 30 დეკემბრამდე 270.16 ლარს, 15 სექტემბრამდე 270,16 ლარს, დღეის მდგომარეობით გადასახდელი მაქვს 270,16 ლარი იჯარის თანხა. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ ფართში გახსნილი მაქვს სასურსათო მაღაზია, ქვეყანაში შექმნილი კოვიდ პანდემიისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ვერ ვახერხებ ყოველდღიურად მაღაზიის ფუნქციონირებას, შესაბამისად შემოსავალიც არ მაქვს, რომ მოვახეხო იჯარის თანხის გადახდა, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მოგმართავთ თხოვნით გადამივადოთ საიჯარო ქირის გადახდა ამ წლის ბოლომდე და შეტანილ იქნას შესაბამისი ცვლილება მხარეთა შორის დადებულ ხელშეკრულებაში.

ანდრო ხარაზაძე ა. ხარაზაძე

7077


TSKALTUBO
09.03.2019
MINISTRY OF JUSTICE
GE018ID3862505300103441 4<<<<
12113M2903091GEO<<<<<<<<<<<1
ARABADZE<<ANDRO<<<<<<<<<<<<<


ANDRO
KHARABADZE
GEO
M
53001034414
11.12.1953
09.03.2029
18ID38625

7078

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821260126; 17/09/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ანდრო ხარაბაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას საკრებულოსაგან, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი-

„ ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 15 სექტემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის ნაწილი 270,16 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და მოიჯარემ გადაიხადოს 2021 წლის 30 დეკემბრამდე, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება“.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამიდად ,**წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.**

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

70 79

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის

დ ა ს კ ვ ნ ა

წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიამ 2021 წლის 24 სექტემბრის კომისიის სხდომაზე განიხილა მუნიციპალიტეტის მერის (№48-4821260126; 17/09/2021) წერილი, რომელშიც მერი, მოიჯარე ანდრო ხარაბაძის განცხადების საფუძველზე, ქვეყანაში შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვს თანხმობას, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულების მეოთხე მუხლის მეორე პუნქტში შეტანილ იქნეს ცვლილება და მეორე პუნქტს დაემატოს შემდეგი ჩანაწერი - „ქვეყანაში კორონავირუსის პანდემიისაგან შექმნილი სიტუაციისა და მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით 2021 წლის 15 სექტემბრამდე გადასახდელი საიჯარო ქირის ნაწილი 270,16 ლარის გადახდა გადავადდეს საშეღავათო პერიოდით და მოიჯარემ გადაიხადოს 2021 წლის 30 დეკემბრამდე, ამ პერიოდის განმავლობაში არ მოხდეს პირგასამტეხლოს დაკისრება“.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, აღნიშნული მოთხოვნის შესაბამიდად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტსა და ანდრო ხარაბაძეს შორის 2020 წლის 22 სექტემბერს გაფორმებულ N2 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკრებულოს აპარატის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი სამართლებრივი აქტის პროექტი, გატანილ იქნეს ბიუროსა და საკრებულოს სხდომებზე განსახილველად (თან ერთვის).

კომისიის თავმჯდომარე
მურმან შალამბერიძე

70-80